საპროექტო ორგანიზაცია

4MA architects

ს.ნ. 404544445

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №22
ნაკვეთი 01.14.05.008.089

დამკვეთი: შ.პ.ს. "გრინლაიფ–Greenlife" ს.კ. 417881215

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
/დარჩენილი სამუშაოები/

ა. მგალობლიშვილი
ა. სულაბერიძე
ლ. ქოგულია
მ. სამარღანიშვილი

ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2023წ

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;
ბ/--კალენდარული გეგმა;
გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1, მო-2

გ/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ობიექტი 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლია. -3.20 ნიშნულზე განლაგდება მიწისქვეშა ავტოსადგომი. შენობის კონსტრუქციის ჩონჩხედი წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს, რომლის ელემენტები- კოლონები, რიგელები და გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა. საძირკველი მიღებულია ერთიანი მონოლითური რკინაბეტონის ფილა 0.00=572.80მ-ს. ტერიტორიაზე აგრეთვე გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--ტერიტორიის ფართობი----------2445.00მ^2;
--საერთო ფართობი----------10093.30მ^2;
--საოფისე ფართობი----------637.50მ^2;
--ავტოსადგომის ფართობი----------1531.50მ^2;
--სამშენებლო მოცულობა----------35423.00მ^3;
--შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე----------47.20მ

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ფენები:

--ფენა №1 – ძირითადი ქანების ნაშალი მასალა, გავრცელებულია ზედაპირიდან 0.5 და 1.0 მ სიღრმეებზე. ფენის სიმძლავრე 0.5-1.0 მფარგლებშია. ფენა უწყლოა;

--ფენა №2 – ნაყარი გრუნტი - ბეტონის, აგურის ნატეხების და სამშენებლო ნარჩენების; ნარევით, უწყლო. გავრცელებულია ზედაპირიდან პირველ შრედ 2.0 მ სიღრმეზე. ფენის სიმძლავრე 0.0-2.0 მ-ის ფარგლებშია.

--ფენა №3 – თიხნარი ღია და მუქი ყავისფერი, უმეტესად ნაკლებ ტენიანი, მყარი კონსისტენციის, ხვინჭის და ღორღის იშვიათი ჩანართებით;

--ფენა №4 – გამოფიტული ძირითადი ქანების – ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა (60:40). შრეებრივი ტექსტურის, თხელ- და საშუალოშრეებრივი;

--ფენა №5 - სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების – ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა (60:40) შრეებრივი ტექსტურის, ნაკლებად დისლოცირებული და ნაკლებად ნაპრალოვანი, საშუალო- და სქელშრეებრივი, მკვრივი,

გრუნტის წყალი არ დაფიქსირდა.
სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ. 481 პ.7-ის T=15.00თვე სადაც 1.00 თვე-მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 477 პ. 16-ის მიხედვით T=15.00 + 0.50 x 6.37=18.18თვე. გვ 477 პ.19-ის და გვ 483 პ.12-ის მიხედვით T=18.18 + 0.50 x 11.00=23.68თვე. გვ. 4 პ. 17-ის მიხედვით T=23.68x1.15=27.00 თვე. სადემონტაჟო სამუშაოების გათვალისწინებით სრული ხანგრძლივობა მიღებულია T=27.00+3.00=30.00 თვე. დარჩენილი სამუშაოების გრაფიკის საფუზველზე ხანგრძლივობა იქნება **27.00თვე.**
მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

3. გრუნტის დამუშავება ნაწილობრივად შესრულებულია.
დამუშავების სიძნელის მიხედვით უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:
--ფენა №1 - ნაყარი გრუნტი – დამუშავების სამივე სახეობისათვის II ჯგუფს;
--ფენა №2 - ძირითადი ქანების ნაშალი მასალა, ღორღი – დამუშავების სამივე სახეობისათვის II ჯგუფს;
--ფენა №3 - თიხნარი – დამუშავების სამივე სახეობისათვის II ჯგუფს;
--ფენა №4 - გამოფიტული ძირითადი ქანების ქვიშაქვების და არგილითების დასამუშავებელი მოცემულობის 60% ხელით, 40% - ერთციცხვიანი ექსკავატორით V ჯგუფს, ხელით Vჯგუფს;
--ფენა №5 - სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა - დასამუშავებელი მოცემულობის 60% ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით VI ჯგუფს, 40% -ერთციცხვიანი ექსკავატორით V ჯგუფს, ხელით V ჯგუფს.

4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს კოშკური ამწე Comansa 5LC5010-5t /1 ცალი/ და ბეტონის სტაციონალური ტუმბოს გამოყენებას. მექანიზმების დაყენება მოხდეს "ე" ღერძთან სამშენებლო ტერიტორიაზე. კოშკური ამწის დაყენება მოხდეს ქვაბულის ძირზე "5" ღერძთან მოჩარჩოებულ მონაკვეთში. მწის დემონტაჟის შემდეგ მოხდეს მონაკვეთის აღდგენა.

კოშკური ამწის მუშაობისას უნდა მოხდეს:
-- ამწის ისრის შემობრუნების შეზღუდვა;

-- ამწის ურიკის მოძრაობის შეზღუდვა, ამწის მუშაობის საშიში ზონის ზომები /СНиП III-4-80 თანახმად/:
R=21.00+10.00=31.00მ;
-- ამწის ურიკის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეულ სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივად განაწილება ხელით;
-- მარეგულირებელი მემონტაჟის დაყენება მექანიზმებთან

სამუშაოების თანმიმდევრობა რიგების და ეტაპების მიხედვით:

მშენებლობის მეორე რიგი:

--მესამე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოების დამთავრება, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები, საპროექტო საყრდენი კედლის მოწყობა, შენობა--ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე----------**90 დღე;**

--მეოთხე ეტაპი----------ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან:

0.00— 6.30მ-მდე ----------**60 დღე;**
6.30— 12.90მ-მდე----------**60 დღე;**
12.90—19.50მ-მდე----------**60 დღე;**
19.50—26.10მ-მდე----------**60 დღე;**
26.10---32.70მ-მდე----------**60 დღე;**
32.70---42.30მ-მდე----------**90 დღე.**

--მეხუთე ეტაპი---------- შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა----------**90 დღე;**

--მეექვსე ეტაპი---------- არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**120 დღე;**

--მეშვიდე ეტაპი---------- შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა----------**60 დღე;**

--მერვე ეტაპი----------ტექნოლოგიური ,ოწყობილობის მონტაჟი----------**60 დღე;**

--მეცხრე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------**120 დღე;**

--მეათე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, ტერიტორიის გამწვანება----------**60 დღე**

5. უსაფრთხოების ტექნიკა

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი “გარემოს დაცვის შესახებ” 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი “წყლის შესახებ” 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი “ატმოსფერული ჰაერის შესახებ” 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი “ მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ” 1998წ მოიცავს მავნე ნივთიერების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

Comansa 5010-5t-ის ტექნიკური დახასიათება

1 ისრის მაქსიმალური შვერა----------50.00მ

2 ტვირთამწეობა:

-მაქსიმალური----------5.00ტნ

3 უკანა ნაწილის ზომა----------11.20მ

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-ის** ტექნიკური დახასიათება

1	დანადგარის ზომები----------	3.00x1.39x1.39მ
2	მექანიზმის წონა----------	1700.00კგ
3	წვდომა:	
	-ვერიკალურად----------	60.00მ
	-ჰორიზონტალურად----------	200.00მ

შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება მოხდეს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად!



ამწის დამუშავება მოხდეს "5" ღერძთან, ძვაბულის კირზე.
მექანიზმის დაშუშავება შეჩერებული იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

მასშტაბი	1:300
შრომ. ფორმა	A3
თარიღი	07.03.2023



პირობითი აღნიშვნები

- -საპროექტო სახლი
- -საპროექტო სახლის მიწისქვეშა მოცულობის გარე კონტური
- -საპროექტო საყრდენი კედელი
- -დროებითი ღია მოედანი
- -დროებითი ღობე
- -ამწის სამუშაო ზონა
- -ამწის საშიში ზონა
- -სადემონტაჟო ნაგებობა, რომელიც აღებული იქნება მშენებლობის ბოლოში

ექსპლიკაცია

1 საპროექტო სახლი
2 საპროექტო საყრდენი კედელი
3 დროებითი საყარაულო
4 დროებითი WC
5 სამუშაოთა მწარმოებლის "ნაგებობა"
6 დროებითი დახურული საწყობი
7 დროებითი ჭიშკარი
8 დროებითი ღობე
9 ბეტონის მიქსერი
10 სტაციონალური ბეტონის ტუმბო
11 კოშკური ამწე
12 დროებითი ღია სასაწყობო და საარმატურო

საპროექტო ორგანიზაცია

ს.ნ. 404544445

საპროექტო ჯგუფი

ა. მგალობლიშვილი
ა. სულაბერიძე
ლ. ქობულია
მ. სამარდანიშვილი
ბ. გოგოლაური

დამკვეთი

შ.პ.ს. "ბრინლაიფ- Greenlife"
ს.ი. 417881215

ობიექტის მისამართი

ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №22
ნაკვეთი 01.14.05.008.089

დასახელება

სამშენებლო გენგეგმა-
-საპროექტო სამუშაოები

მასშტაბი 1:300

ფორმ. ზომა A3

თარიღი 07.03.2023

d/ kalendaruli gegma 6.0 Tve

| # et | mSeneblobis ganxorcielebis procesis rigebi da etapebi | dRe | Tveebi | | |